საგანი - მე და საზოგადოება
კლასი - III კლასი
საფეხური: დაწყებითი
თემა: სკოლა, მეგობრები და თანატოლები

გრძელვადიანი მიზანი	**სამიზნე ცნება** **ზრუნვა** **ქვეცნება** ადამიანის მოთხოვნები და საჭიროებები (ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები (მაგალითად, საკვები);	**საკითხი /** **საკითხთა კლასტერი**
სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **ზრუნვა** **შედეგი: 1,2,3,4,5,6,10,17** 1. ზრუნვა ნიშნავს თანაგრძნობას (ემპათიას), წუხილს, ფიქრს ვინმეზე ან რამეზე; 2. ზრუნვა ნიშნავს მოვლას (საკუთარი ქმედებებით ვინმეს ან რაიმეს მიმართ ყურადღების გამოხატვა პირადი სარგებლის მოლოდინის გარეშე); 3. ურთიერთმზრუნველობის გარეშე ადამიანები ვერ შეძლებენ საკუთარი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას.	**საკვანძო კითხვები:** • როგორ გამოვხატოთ ერთმანეთის მიმართ თანადგომა? • როგორ გავანაწილოთ პირადი ბიუჯეტი? • როგორ დავზოგოთ თანხა?	• ბიუჯეტი/პირადი ბიუჯეტის მართვა • ფულის დაზოგვა, დაზოგვის მიზანი და დაზოგვის საშუალებები; *,,მე და საზოგადოების“ ცნება - ,,ზრუნვა“ და ფინანსური წიგნიერების საკითხების ინტეგრირებულად სწავლება*

ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირი:

საზ.მეც.დაწყ.(I)7 საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება; რესურსების რაციონალურად დაგეგმვა და დაზოგვა ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად, სხვადასხვა პროფესიის საჭიროებისა და მნიშვნელობის გასაცნობიერებლად.

მოცემული საკითხების, ცნებებისა და ქვეცნებების დასამუშავებლად მოსწავლეებს ვაცნობ კომპლექსურ დავალებას, რომელიც რამდენიმე მეცადინეობის შემდეგ უნდა შეასრულონ:

მოსწავლეები ეცნობიან კომპლექსური დავალების პირობას, ასევე თვალსაჩინოდ ამობეჭდილი პირობას განვათავსებ საკლასო ოთახში.

კომპლექსური დავალების პირობა:

შექმენი პლაკატი სახელწოდებით **„აჩუქე მეგობარს“,** სადაც წარმოაჩინე, რას შეიძენდი შენი დანაზოგით მეგობრისთვის, თუ როგორ და რაში დაზოგე თანხა. რა თანხის შეგროვება შეძელი და რა საჩუქარი შეარჩიე შენი დანაზოგით. რამდენიმე სიტყვით აღწერე ეს საჩუქარი, თან დაურთე ნახატი, ან ილუსტრაცია.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- შენი მოქმედებით ვის მიმართ გამოხატე ყურადღება და როგორ;
- როგორ დაეხმარე გაწეული მზრუნველობით სასკოლო თემის წევრებს მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებაში;
- არის თუ არა შენი საქციელი ზრუნვა.

კომპლექსური დავალების გაცნობის შემდეგ ვიწყებთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპებს. ამ ეტაპებზე გამოვიყენებ შემდეგ აქტივობებს:

აქტივობა #1: წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობისთვის გამოვიყენებ მეთოდის - „ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე“ - ვარიაციას.

მაგიდაზე განვათავსებ 3 ფერად ყუთს. დაფაზე დავწერ საკვანძო სიტყვებს (დაზოგვა; ბიუჯეტი). მოსწავლეებს ვთხოვ, ფურცლებზე დაწერონ: ა) რა იციან და ბ) რა სურთ გაიგონ ამ საკითხზე და ფურცლები მოათავსონ ყუთში. შემდეგ „რა იციან“ ფურცლები ერთ ყუთში მოთავსდება, „რა სურთ გაიგონ“ ფურცლები კი - მეორეში. ხოლო გაკვეთილზე რასაც გავიგებთ, იმას გაკვეთილის შემდეგ დაწერენ ფურცლებზე და მესამე ცარიელ ყუთში განათავსებენ. ყუთში მოთავსებულ ქაღალდებს ამოვიღებთ და ერთად განვათავსებთ დაფაზე.

აქტივობა #2: ვიდეო რესურსების ჩვენება

ვაჩვენებ ორ ვიდეორგოლს: „პირადი ბიუჯეტი“ და „დაზოგვა“,

შემდეგ კი პასუხობენ შეკითხვებს:

- რა არის ბიუჯეტი? დაზოგვა?
- პირადი ბიუჯეტი რას ნიშნავს?
- ვინ გაძლევთ ფულს და რისთვის იყენებთ?
- საიდან გაქვთ შემოსავალი?
- რის შესაძენად იყენებთ თანხას? და ა.შ

აქტივობა #3: სიტუაციური ამოცანის (ქეისის) განხილვა

საკითხის უკეთ დასამუშავებლად მოსწავლეებს შევთავაზებ სიტუაციურ ამოცანას (ქეისს):

ნანოს პონი

ნანო და მარიამი სკოლის მოსწავლეები არიან. დედა მათ ყოველდღე აძლევს 3-3 ლარს. ნანო ყიდულობს 1 ხაჭაპურს, მაგრამ ბოლომდე არ მიირთმევს ხოლმე. ხან ჩანთაში ჩადებული მოაქვს შინ, ხან კი ნაგვის ურნაში აგდებს, რომ არ შენიშნოს უფროსმა დაიკომ.

მარიამი დაკვირვებული და მზრუნველი დაიკოა. ნანოს ეს ქცევა მხედველობიდან არ გამოჰპარვია. ერთხელ კი ნანოს უთხრა:

- ნანო, ხომ ძალიან გიყვარვარ?
- კიიი, ძალიან! - უპასუხა დაიკომ.
- ერთ რამეს შემოგთავაზებ, ან მე ვიყიდი ხოლმე ხაჭაპურს და ნახევარს შენ მოგცემ, დედიკოს მოცემული ფული კი დავაგროვოთ, ან შენ იყიდე და მე გამიყავი!
- ოო! - დაფიქრდა ნანო - მერე რა ვიყიდოთ დაგროვებული ფულით?
- რა გინდა ყველაზე მეტად?
- სათამაშო პონი! - წამოიძახა უცებ.
- კეთილი!
- რა კარგია, რამდენი ხანში მოვაგროვებ საყიდელ ფულს? მეც ხომ წამიყვან საყიდლად? მე ავარჩევ! და სად უნდა შევინახოთ, სად უნდა დავაგროვოთ? - კითხვას კითხვაზე სვამდა გახარებული ნანო.
- მოვიფიქრებ, მთავარია, რომ ვიცით რისთვის ვაგროვებთ თანხას და კიდევ შეთანხმება არ დავარღვიოთ! - დინჯად უპასუხა მარიამმა.

- დაფიქრდით და ურჩიეთ ნანოს და მარიამს სად შეაგროვონ თანხა;
- თქვენი აზრით, რატომ შესთავაზა მარიამმა ნანოს ეს შეთანხმება?
- დაფიქრდი, რა პრობლემის მოგვარება სცადა ამგვარი შეთავაზებით მან?

აქტივობა #4: პრეზენტაცია

სიტუაციური ამოცანის - ,,ნანოს პონი" - მეტი ვიზუალიზაციისა და აღქმისთვის მოვამზადებ M P პრეზენტაციაზე ანიმაციის დართვით. მოსწავლეები კითხულობენ სიტუაციურ ამოცანას და მსჯელობენ სიტუაციის ირგვლივ. დაასახელებენ ფულის შენახვისა და დაგროვების სხვადასხვა გზას.

აქტივობა #5: შეჯამება

ამის შემდეგ, ვაგრძელებთ მეთოდის „ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე" ბოლო ნაწილს - ვავსებთ მესამე ფერად ყუთს: მოსწავლეები წერენ ფურცელზე, რა გაიგეს დაზოგვისა და ბიუჯეტის შესახებ და ფურცლებს ყუთში განათავსებენ, შემდეგ კი ერთად განათავსებენ დაფაზე.

აქტივობა #6: მოთხრობის გაცნობა-დამუშავება (კავშირი წიგნიერებასთან)

1. ჩემ მიერ დაწერილ მოთხრობას ,,არდაწერილი წიგნის გმირი" ვკითხულობთ პაუზებით.

(მოთხრობა შეიქმნა ფინედუს კონკურსის ,,ფინანსური განათლება მხატვრულად" ფარგლებში და განთავსებულია პორტალზე). პაუზებით კითხვა იმას ნიშნავს, რომ მოთხრობის პირველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ რა მოხდება შემდეგ? სულ იქნება ორი პაუზა. პაუზებით კითხვა მოსწავლეებს აღუძრავს ინტერესსა და ყურადღების მობილიზებას უწყობს ხელს.

2. მოთხრობის გაგება-გააზრებისთვის ვსვამთ სხვადასხვა დონის კითხვებს:

- ვინ არიან მოქმედი პერსონაჟები? სად ხდება მოქმედება?
- როგორ ზრუნავს პატარა დაიკოზე დათო?
- რა მოხდებოდა, დათო სხვანაირად რომ მოქცეულიყო?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით ცოტნეს ადგილას?
- სად ჩანს მოთხრობაში ტყუილი?
- თქვენი აზრით, რატომ იცრუა ცოტნემ?
- როგორ სრულდება მოთხრობა?

- რა პრობლემას ხედავთ მოთხრობაში? როგორ გადაიჭრა ეს პრობლემა?
- დაფიქრდი, ხომ არ გაქვს პრობლემის მოგვარების სხვა ხერხი?
- რომელმა ეპიზოდმა მოახდინა შენზე ყველაზე მეტი გავლენა და რატომ?
- რას შეცვლიდი ამ მოთხრობაში? რატომ?

3. ვმუშაობთ სქემაზე - პერსონაჟის რუკა/პრობლემის რუკა

ვავსებთ პერსონაჟის რუკას, პერსონაჟი - ცოტნე ასევე ვავსებთ მოთხრობის რუკას - პრობლემის გამოკვეთა



აქტივობა #7: ყულაბის დამზადება

მოსწავლეებს ავუხსნი, რომ რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ ჩვენ უნდა ვითამაშოთ კლასში ,,მაღაზიობანა“. იმისთვის, რომ შევიძინოთ სასურველი ნივთი, გვჭირდება თანხა და ამ თანხის შესაგროვებლად გაკვეთილზე დავამზადებთ ყულაბას, რომელშიც მოვათავსებთ სასურველ თანხას (პირობითად თანხა იქნება კუპიურებისა და მონეტების სახით, ლამინირებული ქაღალდით შექმნილი და არა ნამდვილი თანხა), კლასში განთავსებული ეს რესურსი სპეციალურად ამ მიზნით იქნება დამზადებული, მოსწავლე იღებს „თანხას“ და ათავსებს თავის ყულაბაში. თანხას ვაგროვებთ მაღაზიობანას თამაშისთვის, სადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს სასურველი ნივთის შეძენას მეგობრისთვის. იმის მიხედვით, რა თანხის შეგროვებას შეძლებს.

მეორადი მასალისგან ვამზადებთ ყულაბას, რომელსაც გავაფორმებთ და გავალამაზებთ (ხელოვნებასთან ინტეგრირება). მაგალითად, ვამზადებთ პლასტმასის ბოთლებისგან, მეტალის კოლოფების ან მინის ხრახნიანი ქილებისგან, რომელსაც მოვხატავთ საღებავებით.

აქტივობა #8: ცხრილის შევსება

მოსწავლემ ყოველდღე უნდა აწარმოოს ცხრილი, სადაც ჩაწერს თუ რამდენი წამოიღო, რა დახარჯა, რა უნდოდა, მაგრამ არ შეიძინა და რა თანხა დარჩა ანუ რა დაზოგა, ამ დანაზოგის შესატყვის თანხას, ოღონდ სათამაშო რესურსიდან იღებს და ათავსებს თავის მიერ შექმნილ ყულაბაში. ასე გრძელდება მანამ, სანამ არ იქნება როლური თამაში ,,მაღაზიობანა.“

აქტივობა #9: მათემატიკური ამოცანები

საკითხების სხვადასხვა ჭრილში განხილვისთვის მოსწავლეებს ვაცნობ მათემატიკურ ამოცანებს დაზოგვაზე.

ამოცანა

ნიკა და დათო ველოსიპედის საყიდლად თავთავიანთ ყულაბებში თანხას აგროვებდნენ. ველოსიპედი 264 ლარი ღირს. ყულაბების გატეხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნიკას ჰქონდა 135 ლარი, ხოლო დათოს - 145 ლარი. ეყოფათ თუ არა ეს თანხა მეგობრებს ველოსიპედის საყიდლად?

მოსწავლეები თვითონ მოიფიქრებენ მსგავს ამოცანებს.

მოვამზადებ ინტერაქტიულ ონლაინ რესურსს https://www.liveworksheets.com/-პლატფორმაზე , სადაც მოსწავლეები შეძლებენ, როგორც ამოცანის ამოხსნას, ასევე მოფიქრებას.

აქტივობა #10: თამაში „ მაღაზიობანა “კლასში

მშობლებთან შეთანხმებით მოსწავლეებს მოაქვთ სახლიდან სხვადასხვა 2 ან 3 ნივთი, რომელსაც ვაკრავთ ფასის ეტიკეტს. ეს შეიძლება იყოს სათამაშო, სასწავლო ნივთები, წიგნები და ა.შ. გახსნიან ყულაბას და დათვლიან დაგროვებულ თანხას. შემდეგ მიდიან მაღაზიაში და იძენენ სასურველ ნივთს. მოსწავლე აკვირდება და იაზრებს აღნიშნული დანაზოგით რა ნივთის შეძენას შეძლებს, ვითომ შეიძენენ მეგობრისთვის და შემდეგ ამ ნივთზე უნდა მოამზადონ კომპლექსური დავალება.

აღნიშნული თამაში ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს და გაითავისოს ის საკითხები, რაზეც ვიმუშავეთ და კომპლექსური დავალება შეასრულოს უფრო ხალისით.

აქტივობა #11: კომპლექსური დავალების წარდგენა - პრეზენტაცია

შეფასების სქემა

წარმატებული	**კარგი**	**გასაუმჯობესებელი**
მოსწავლე კარგად იაზრებს, თუ რას ნიშნავს თანაგრძნობა და მზრუნველი დამოკიდებულების გამოჩენა, დაზოგვა. შეუძლია პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა. პლაკატის სახით წარადგენს და კარგად აღწერს: *როგორ და რაში დაზოგა თანხა. რა თანხის შეგროვება შეძლო და რა საჩუქარი შეარჩია დანაზოგით. დამაჯერებლად საუბრობს წარმოდგენილი დავალების შესახებ.*	**მოსწავლე იაზრებს თუ რას ნიშნავს თანაგრძნობა და მზრუნველი დამოკიდებულების გამოჩენა, დაზოგვა, პლაკატის სახით წარადგენს და აღწერს:** *როგორ და რაში დაზოგა თანხა. რა თანხის შეგროვება შეძლო და რა საჩუქარი შეარჩია დანაზოგით. წარადგენს დავალებას კლასის წინაშე.*	**მოსწავლე შეძლებისდაგვარად იაზრებს, თუ რას ნიშნავს თანაგრძნობა, დაზოგვა. შეძლებისდაგვარად საუბრობს** *რა თანხის შეგროვება შეძლო და რა საჩუქარი შეარჩია დანაზოგით. შეძლებისდაგვარად წარადგენს დავალებას.*

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვებ-გვერდები

https://www.finedu.gov.ge/ge

http://kargiskola.ge/search_books.php

- ეროვნული სასწავლო გეგმა